ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 20 ივლისი, 2016 №170 (7096) ფასი: 50 თეთრი

თბილისის დინამო ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გავიდა

გუშინ, 19 ივლისს, თბილისის დინამომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩი გამართა ერევანში ადგილობრივ ალაშკერტთან.

პირველი შეხვედრა, რომელიც თბილისში 12 ივლისს შედგა, დინამოელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა.

მატჩი ერევანში ასევე დინამოელთა უპირატესობით დაიწყო და 21-ე წუთზე ჯაბა ჯიღაურმა ანგარიში გახსნა – 1:0 დინამოს სასარგებლოდ.

პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

მეორე ტაიმში, 51-ე წუთზე, მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ეს ნორაირ გიოზალიანმა გააკეთა – 1:1.

საბოლოოდ შეხვედრა ამ ანგარიშით დასრულდა.

ორი მატჩის ჯამში ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე თბილისის დინამო გავიდა.

20 ივლისიდან

სამოთხიდან გაქცეულები

ბექა ქურხული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

კობა ნარჩემაშვილი:

„ნაციონალებზე შურისძიებას არ ვაპირებ“

გვ.2

მედავებოდნენ მომწამვლელი გაზის შეტანას ქვეყანაში. ასეთი თითიდან გამოწოვილი ბრალდება წამიყენეს. რასაკვირველია, ეს იყო თავიდან ბოლომდე პოლიტიკური საქმე!

„ნარჩემაშვილის ერთადერთი დამსახურებაა, რომ სისულელე არ გააკეთა“

გვ.2

გია ხუხაშვილს ნაფტალინის სუნი ეცა

გვ.3

„საქართველოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე პრორუსული პარტიების გაძლიერებაა“

ალეკო კვახაძე: „როკის გვირაბის გავლით ტვირთების შემოსვლა არ უნდა დავუშვათ“

რაში ხარჯავს პაატა ბურჭულაძე ჩვენი მოქალაქეების საქველმოქმედო შენაწირს?

გვ.4

გვ.5

ვალერი გელბახიანი: „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით ვერ იმარჯვებს“

ISSN 1987-9385

გვ.5

რა კითხვები აქვს გიორგი ვაშაძესთან მამუკა გვაძაბიას

როდის გაუხსენებს ზვიად ძიძიგური ძველ ცოდვებს გია მიქელაძეს

გვ.3

კობა ნარჩემაშვილი: „ნაციონალებზე შურისძიებას არ ვაპირებ“

ნონა ცაბაძე

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქუთაისში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. კანდიდატებს შორისაა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, რომელმაც შეთავაზება პირადად გიორგი კვირიკაშვილისგან მიიღო.

„ახალი თაობა“ კობა ნარჩემაშვილს ესაუბრა.

– ბატონო კობა, რატომ გადაწყვიტეთ აქტიურ პოლიტიკაში მობრუნება?

– ის სფერო, სადაც მე ვმოღვაწეობდი, სხვა სფეროა, საჯარო პოლიტიკა სხვა სფეროა. 2009 წლიდან მე ვარ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოში და გადავწყვიტე, ახლა აქეთ მეცადა ბედი.

– რამდენად გაქვთ წარმატების იმედი?

– იმედი რომ არ მქონოდა, ამ მარათონში არც ჩავერთვებოდი.

– ბევრი შეფასება გაკეთდა უკვე. ბევრი აკრიტიკებს „ოცნებას“, რომ ძველი სახეები, შევარდნაძის დროინდელი მაღალჩინოსნები წამოწია წინა პლანზე. რით უპასუხებდით თქვენ?

– პირველი ტალღა მაინც ძალიან ემოციურია. შეიძლება ეს საკითხი მეორე მხრივ შევაფასოთ, რომ ეს განიხილებოდეს იმ ადამიანების გარკვეულ გამოყენებად, რომლებიც 2003 წლის შემდეგ სრულიად დაუმსახურებლად ჩამოცილებულ იქნენ ყველანაირი საქმიანობის სფეროს. ეს იყო ნაციონალური მოძრაობის მიზანმიმართული გადაწყვეტილება, რომ ერთიანი ტალღის ქვეშ მოექციათ ყველა ადამიანი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც აბსოლუტურად უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდნენ, მაგრამ მათთვის არასაიმედონი იყვნენ ხელისუფლების შენარჩუნების თვალსაზრისით.

– დღეს გადაწყვიტეს, ბედი თავიდან სცადონ?

– ჩემი აზრით, ეს იქნება სტიმული, რომ არ დაიკარგოს გამოცდილება, რომელიც მათ აქვთ და მათ, ვინც პატიოსნად ემსახურებოდა ქვეყანას, კვლავაც გააგრძელონ სამსახური. ნაციონალურმა მოძრაობამ შემოგვთავაზა ეს დისკურსი – ყველაფერი, რაც ადრე იყო, ცუდია, ჩვენ დავიწყეთ საქართველოს ისტორია, ვინც ადრე მუშაობდნენ, ყველა ცუდები და კორუმპირებულები იყვნენ. ეს სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს.

ის გადასმული ხაზი, რომელიც 40 წელს ზემოთ ადამიანებს დაესვა, ვალდებულია ჩვენი საზოგადოება, რომ გამოასწოროს. ამიტომ ამ ადამიანების კუთხით თუ შევხედავთ, მათი განწყობები სხვანაირი იქნება და ასეთები ცოტანი არ არიან.

– ცოტანი არ არიან და ნაციონალებზე შურისძიებასაც აპირებენო. ამაზე რას იტყვით? გინდათ მათზე შურისძიება?

– დღეს თუ რაიმე არ არის საჭირო, საზოგადოების კიდევ უფრო პოლარიზება ნამდვილად არ არის საჭირო. შურისძიება „ქართულ ოცნებას“ რომ სდომოდა, ამისთვის ოთხი წელი ჰქონდა და ამის გაკეთება მას ჩვენ გარეშე შეეძლო. მით უმეტეს, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ, კიდევ პოლარიზების და დაპირისპირების დრო არ არის. პირიქით, მეტი ბერკეტი უნდა მოიძებნოს და მეტი შეხების წერტილები. თუ ვინმეს სისხლის სამართლის დანაშაული აქვს მიუტევებელი ჩადენილი, ამ შემთხვევაში კანონი უნდა მოქმედებდეს და არა – ვინმეს ინტერესი.

– თქვენზე ითქვა, რომ ძალიან ბევრს ეცადნენ ნაციონალები, მაგრამ ვერ მოუძებნეს მიზეზი ციხეში ჩასასმელადო. თქვენ მაინც დაგაპატიმრეს, მაგრამ მალე გაგათავისუფლეს. მაინც რას გედავებოდნენ?

– მედავებოდნენ მომწამვლელი გაზის შეტანას ქვეყანაში. ასეთი თითიდან გამოწოვილი ბრალდება წამიყენეს. რასაკვირველია, ეს იყო თავიდან ბოლომდე პოლიტიკური საქმე!

– ანუ არა გაქვთ პირადი ბოღმა ნაციონალების მიმართ?

– (იცინის) არა, რასაკვირველია, არა!

– ბატონო კობა, თქვენ აგიყვანიეს ნანული შევარდნაძის დაკრძალვიდან. ითქვა, რომ თქვენ იცოდით ამის თაობაზე და დაკრძალვაზე მაინც მიხვედით. მართლაც ასე იყო?

– დიახ, ნამდვილად ვიცოდი. ერთი დღით ადრე ჩემ შესახებ საზღვარზე იყო უკვე გაფრთხილებები, რომ აპირებდნენ ჩემს დაკავებას. ამის თაობაზე მომაწოდეს ინფორმაცია, მაგრამ მიუსვლელობაც არ შეიძლებოდა. ამას ხელზეც დაიხვევდნენ, რომ აი, მიიმალა და ასე შემდეგ. თანაც ამით ძალიან დაზარალდებოდა ჩემი გარემოცვა. ამიტომ ჩემ მიერ ეს გადაწყვეტილება სრულიად გააზრებულად იქნა მიღებული.

– სწორედ ამიტომ ითქვა, რომ ერთადერთი მინისტრი, ვინც არ უღალატა შევარდნაძეს, ნარჩემაშვილი იყოო.

– არა, ერთადერთი ნამდვილად არ ვიყავი. უბრალოდ, შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოქმედებები უფრო ჩანს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, თანაც ასეთ ვითარებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა და ფიგურა არის შინაგან საქმეთა მინისტრი. სამწუხაროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სხვა პერსპექტივები ესახებოდათ, მათი აზრით, 2003 წლის შემდეგ.

– თუ შემოგთავაზეს იმ პერიოდში, როდესაც მინისტრი იყავით, თანამშრომლობა ნაციონალებმა?

– რა თქმა უნდა! ისინი ამას ყველას სთავაზობდნენ.

„ნარჩემაშვილის ერთადერთი დამსახურებაა, რომ სისულელე არ გააკეთა“

გია ხუხაშვილს ნაფტალინის სუნი ეცა

ექსპერტ გია ხუხაშვილის მოსაზრებით, შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ქართულ სინამდვილეში არაფრისმეტყველი ფიგურა იყო, შესაბამისად, მის მიმართ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური რადიკალური შეფასებები საფუძველს მოკლებულია.

გია ხუხაშვილი:

– პრემიერის მხრიდან გაისმა, რომ ის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა ქვეყანა განსაცდელს ააცილოს. ამ პათეტიკის უკან, სამწუხაროდ, დიდი შინაარსი არ დევს, რადგან ნარჩემაშვილი ვარდების რევოლუციის დროს იყო უბრალოდ სტატუსი პოლიტიკური პროცესის, მასზე არაფერი იყო დამოკიდებული. არ ჰქონდა არანაირი წონა.

ხუხაშვილი ამბობს, რომ ნარჩემაშვილის ერთადერთი დამსახურებაა, რომ პირადი სისულელე არ გააკეთა.

– შეფასება, რომ ნარჩემაშვილმა ქვეყანას რაღაც ააცილა, რბილად რომ ვთქვათ, კვირიკაშვილმა ან არ იცის, ან შეგნებულად ცდილობს ზედმეტად შეაქოს და შეამკოს კობა ნარჩემაშვილი. მეორე მხრივ, დემონიზაციაც არ არის სწორი, რადგან ის არ იყო სისტემის შემოქმედი. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ნარჩემაშვილის პერიოდში პოლიცია საკმაოდ გარყვნილი, კორუმპირებული სისტემა იყო, – განაცხადა ექსპერტმა.

ის ფიქრობს, რომ, შესაძლოა, თავად ნარჩემაშვილი კორუფციაში ჩაფლული არ ყოფილა, მაგრამ, როგორც მინისტრი, ქმნიდა ფასადს და შიგნით სისტემაში ათასი უბედურება ტრიალებდა.

– ესეც არ მეტყველებს მის სასარგებლოდ. ის არც სხვაზე ცუდი იყო, არც სხვაზე კარგი იმ პერიოდში. საკმაოდ არაფრისმეტყველი ფიგურა იყო ქართულ სინამდვილეში, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მისივე შეფასებით, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. რომ „ქართული ოცნების“ ტრადიციული სახეები თამაშიდან გაჰყავთ და ახალი სახეების შემოყვანას ცდილობენ.

– ყველაზე ვერ ვიტყვი, ყველას არ ვიცნობ, მაგრამ იქ დავინახე პრეცედენტები, რომ ცოტა ნაფტალინის სუნი დატრიალდა, ცოტა მერკანტილური ინტერესის სუნი დატრიალდა. მე ამ შემადგენლობაში პროგრესისტული, მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილება ვერ დავინახე, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი აზრით, ხელისუფლება პარადოქსულად და ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოიქცა.

– რამდენიმე დღის წინ გამოგვიცხადა, რომ ახალგაზრდობაზე, პროგრესსა და უცხოეთში განათლებაზე არიან ორიენტირებული და წარმოგვიდგინა მაჟორიტარები, რომლებიც აბსოლუტურად ამის საპირისპირო გზავნილს უშვებენ საზოგადოებაში. სიასთან დაკავშირებული პრიორიტეტული პარამეტრები თავდაყირა დააყენეს, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ვანო მერაბიშვილი: „მე ცოტა ხანში მაინც დავტოვებ საპყრობილეს“

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი განცხადებას ავრცელებს და ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

მერაბიშვილი პირველ რიგში მის მიმართ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმაურება და ადვოკატებს მადლობას უხდის.

ვანო მერაბიშვილი:

– ბოლო ორი წლის განმავლობაში, მე არ გამიკეთებია არც ერთი განცხადება და არ დამიფიქსირებია ჩემი პოზიცია თუ შეხედულება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ჩემი დუმილი მხოლოდ ერთი მიზეზით იყო გამოწვეული, მე ველოდებოდი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას – ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განაჩენს.

14 ივნისს გამოქვეყნდა სტრასბურის სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც პირველად საქართველოს ისტორიაში და მეშვიდედ სტრასბურის სასამართლოს ისტორიაში, დადგინდა ხელისუფლების მხრიდან ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა.

ვანო მერაბიშვილი:

– მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ადვოკატებს, განსაკუთრებით ოთო კახიძესა და პროფესორ ფილიპ ლიჩს. ოთო კახიძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში და დიდი გამოცდილება აქვს საადვოკატო საქმიანობაში.

სტრასბურის სასამართლოში გამარჯვება დიდი წარმატებაა. კონვენციის მე-18 მუხლის მოგება განსაკუთრებულ წარმატებად ითვლება, ვინაიდან აქამდე სტრასბურის სასამართლოს ისტორიაში მხოლოდ ექვსი მსგავსი შემთხვევა არსებობდა.

მერაბიშვილი ამაყობს, რომ ოთარ კახიძესთან მუშაობა და ურთიერთობა მოუწია.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

კვირიკაშვილი ანკარაში თურქეთის პრემიერს შეხვდა

გუშინ, 19 ივლისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თურქეთს ეწვია.

ანკარაში ის თურქეთის პრემიერ-მინისტრ ბინალი ილდირიმს შეხვდა.

შეხვედრა თურქეთში განვითარებული მოვლენების შეფასებით დაიწყო.

გიორგი კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა თურქეთის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისა და თურქი ხალხისადმი.

მისი განმარტებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია თურქეთში სტაბილურობის შენარჩუნება და ქვეყნებს შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერება.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მადლიერება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან თურქეთის სტაბილურობის მიმართ გამოხატული მხარდაჭერისთვის და საქართველოს მთავრობის მეთაურის ვიზიტი ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების შემდგომი განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში თანამშრომლობის საკითხებს.

შეხვედრაზე აღინიშნა ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი გააქტიურების აუცილებლობა და თურქულ ბაზარზე საქართველოს ექსპორტი გაზრდის პერსპექტივები. საუბარი შეეხო სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ერთობლივ პროექტებს.

ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურებმა შეაფასეს მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს პირველი შეხვედრის მნიშვნელობა და იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნული ფორმატი ხელს შეუწყობს საერთო ინტერესების საკითხების განხილვასა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასაც.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა თურქეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოხატეს მზაობა, ხელი შეუწყონ ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე პრორუსული პარტიების გაძლიერებაა“

ალეკო კვახაძე: „როკის გვირაბის გავლით ტვირთების შემოსვლა არ უნდა დავუშვათ“

შორენა მარსაგიშვილი

ჩას უნდა ველოდოთ ჩუსეთისგან, დათანხმდება თუ ახა თბილისი ეჩევნის მოთხოვნას, ჩატომ ახის სახიფათო დაღესტნის გზის გახსნა, ვისგან ელოდება საქაჩთველოს ყველაზე მეტი საფჩთხე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ჯავჯასიოლოგი ალეკო ჯვახაძე ესაუბჩება.

– სააგენტო რეგნუმის ცნობით, თურქეთი ირანთან და რუსეთთან ერთად ახალ კავშირს ქმნის. თუ ეს მართლაც მოხდა, რა პერსპექტივა ელოდება საქართველოს?

– არანაირი კავშირი არ იქმნება, ეს არის რეგნუმის ინტერპრეტაცია. ერდოღანს ჰქონდა ირანის პრეზიდენტ როუჰანთან სატელეფონო საუბარი, სადაც ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. მანამდე თურქეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინს ესაუბრა. თურქული მხარე ამბობს, რომ ორივე ქვეყანასთან უნდა გაღრმავდეს ურთიერთობა, რაც ალიანსის შექმნას არ ნიშნავს.

– და თუ მაინც შედგა ასეთი ალიანსი, მერე რა ხდება?

– ამის გაკეთება ასეთი ადვილი არ არის, იქ არის ამერიკა, თურქეთს ნატოს წინაშე ვალდებულებები აქვს აღებული, რომელთაც ასე იოლად ვერ გაწყვეტს. ამ კუთხით ადრეც ყოფილა სირთულეები, მაგრამ ყოველთვის მოუგვარებიათ. ასე რომ, არანაირი ალიანსი არ შედგება, რაღაც საკითხებში ითანამშრომლებენ და ეს ჩვეულებრივი ამბავია.

– თურქეთთან ურთიერთობის დარეგულირების კვალდაკვალ რუსეთის პოლიტიკა კიდევ უფრო აგრესიული ხომ არ გახდება?

– ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რას იზამს ხვალ რუსეთი. ფაქტია, რომ მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენების გაფართოებას ცდილობს.

– ამ ფონზე კარგს არ უნდა მოასწავებდეს რუსეთის თავდაცვის მინისტრის შოიგუს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სირიიდან პროცესებმა შესაძლოა სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლოს.

– შოიგუ ჰაერზე ასეთ რამეებს არ ამბობს. სავსებით მოსალოდნელია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში გაძლიერდეს ჰიბრიდული ომი და რბილი ძალის გამოყენება. მოსკოვი შეეცდება, რომ საზოგადოებრივი ჯგუფები და პარტიები აქტიურად დააფინანსოს.

ჩვენთან პირველ რიგში დააფინანსებს პრორუსულ პარტიებს და მათი დახმარებით შეეცდება გააძლიეროს პრორუსული განწყობები. ასევე იმუშავებს რელიგიურ თემაზე. გაავრცელებენ შემდეგი სახის მესიჯ-ბოქსებს, რომ დასავლეთი და ნატო რყვნის, სამაგიეროდ, რუსეთია მართლმადიდებლობის გარანტი. შეეცდებიან, დასავლეთის მიმართ უარყოფითი განწყობა გაზარდონ, რაც თავისთავად გაზრდის ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვს.

– მოსახლეობის განწყობა როგორია ამ საკითხებთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, წამოეგება ხალხი მოსკოვის მესიჯ-ბოქსებს?

– ჯერჯერობით პრორუსული შეხედულებების ადამიანები არ შეადგენენ კრიტიკულ მასას. ამას სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს. ეს დამშვიდების საბაბს არ იძლევა, რადგანაც ვნახეთ, რომ წინა წლებთან შედარებით, რუსეთის მომხრეთა რიცხვი ოდნავ არის გაზრდილი.

სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ პროცესს ხელს არ უშლის, მეტიც, მისი ზოგიერთი წევრი ღიად უჭერს მხარს ევრაზიულ კავშირს. მართალია, გოგი თოფაძე და თამაზ მეჭიაური ხელისუფლებაში აღარ არიან, მაგრამ ამ 4 წლის მანძილზე „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ და პრორუსულ განწყობებს ღიად გამოხატავდნენ.

ხელისუფლება თუ რაიმე კონტრზომებს არ მიიღებს, შესაძლოა, ევრაზიის კავშირის მომხრეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს.

– რბილი ძალის და ჰიბრიდული ომის გაძლიერებას კონფლიქტური რეგიონებიდანაც ხომ არ მოჰყვება რაიმე პრობლემები? საჭიროების შემთხვევაში მოსკოვი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კარგად იყენებს.

– უნდა ველოდოთ მცოცავი ოკუპაციის გაგრძელებას. სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაურთულებენ პირობებს გალის და ახალგორის ქართულ მოსახლეობას.

– რას ფიქრობთ იმაზე, რომ სომხური სატრანზიტო მანქანები როკის გვირაბის გავლით შემოვიდნენ საქართველოში? ივნისის თვეში როცა დარიალის ხეობა ჩაიკეტა, ერევანმა ამ გზის ამოქმედება მოითხოვა. ხელისუფლება მოლაპარაკებაზე წავიდა და ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დათანხმდება?

– ამაზე დათანხმება საოკუპაციო კანონის პირდაპირი დარღვევა და სეპარატისტული რეჟიმის ლეგიტიმაციაა. საქართველოს ხელისუფლებას თუ სუვერენიტეტზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე აქვს პრეტენზია, ასეთი რამე არ უნდა დაუშვას.

– რას ფიქრობთ დაღესტნის გავლით რუსეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე? ხელისუფლება და ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ გზა კარგია, რადგან მას თან მოჰყვება დოვლათი.

– ეს გზა არც ისეთი მარტივი გასაკეთებელია. მისი სრული მშენებლობისთვის რამდენიმე მილიარდია საჭირო. სანამ რუსეთი საქართველოს მიმართ ასეთ აგრესიულ პოლიტიკას ატარებს, დაღესტნის გზის აშენება მიზანშეწონილი არ არის.

საქართველოს გარდა, ეს გზა აზერბაიჯანსაც ავნებს. ზაქათალის, ბელაქნის და კახის რაიონები ამ გზით პირდაპირ დაუკავშირდებიან დაღესტანს. აქ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ხუნძები. ისინი დაღესტანში ერთერთ უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. რუსეთს ამ გზის გამოყენებით სურს აზერბაიჯანში ხუნძური სეპარატიზმის გაღვივება. ამიტომაც არც ჩვენ და არც აზერბაიჯანს არ გვაწყობს ამ გზის მშენებლობა.

– ჩვენ რა საფრთხეებს შეგვიქმნის ეს გზა?

– მოხდება რუსეთის და სომხეთის კიდევ უფრო შეკავშირება. გაიზრდება ევრაზიული კავშირის ქვეყნების ტვირთბრუნვა. ომის შემთხვევაში რუსეთს დაუბრკოლებლად შეეძლება მძიმე ტექნიკის გადმოსროლა ჩვენს ზურგში – კახეთში.

– სომხეთი ვახსენეთ და რას ფიქრობთ ერევანში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე? ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამის შემდეგ ანტირუსული განწყობა იქაც გაიზრდება.

– ამ მოვლენებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია ამ დღეებში მექნება. სომხეთშიც უფრო მეტს იტყვიან ამაზე. ყარაბაღში ვითარების გართულების და რუსი სამხედროს მიერ სომხური ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ, ერევანში ანტირუსული განწყობა გაზრდილია, თუმცა ამას ჯერ ქვეყნის გეოპოლიტიკურ კურსსა და ხელისუფლებაზე გავლება არ მოუხდენია.

– არჩევნების წინ რუსეთი ყოველთვის ააქტიურებდა პანკისის თემას. ამ პერიოდში ახსენდებოდათ, რომ იქ არიან ტერორისტები. წელს რას უნდა ველოდოთ ამ მიმართულებით?

– პანკისის თემა რუსეთისთვის აქტუალური აღარ არის. მათ შესანიშნავად იციან, რომ ვისაც სირიასა და ერაყში უნდოდა წასვლა, ხეობიდან უკვე წასულია. ამ არჩევნების წინ პანკისიდან არანაირი გართულება არაა მოსალოდნელი.

– ყველაზე დიდი საფრთხე საიდან გველოდება?

– ამ მომენტში საქართველოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე პრორუსული პარტიების გაძლიერებაა. იარაღის ნაცვლად რბილი ძალა და ჰიბრიდული ომი იქნება გამოყენებული.

შორენა მარსაგიშვილი

როდის გაუხსენებს ზვიად ძიძიგური ძველ ცოდვებს გია მიქელაძეს

იმერეთის რეგიონში 11 მაჟორიტარის წარდგენას იმაზე მეტი ალიაქოთი მოჰყვა, ვიდრე ეს 15 ახალი სახის გამოჩენამ გამოიწვია. ყველა ფიქრობდა, რომ წარდგენას ქვეყნის პირველი მეოცნებე ბიძინა ივანიშვილიც დაესწრებოდა. მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ თქვა, რომ წინასაარჩევნო პროცესებში უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა.

ახლა აღმოჩნდა, რომ ის გააქტიურებას შემოდგომაზე აპირებს და 1 სექტემბრიდან ჩამოუქროლებს საქართველოს ქორივით. როგორც „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, სხვა რეგიონებშიც მის გარეშე ჩაივლის მაჟორიტარების წარდგენის პროცესი.

მორიგი წარდგინებითი ღონისძიება სამეგრელოს რეგიონში გაიმართება. ამ მიმართულებით წინასწარ დასახელდა რამდენიმე გვარი, თუმცა, იმერეთის მსგავსად, აქაც შესაძლოა გადამწყვეტ მომენტში შეცვალონ კანდიდატები. მეოცნებეები როგორც პირად, ასევე საჯარო საუბრებში ამბობენ, რომ ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის და არავინ არაფერი იცის.

ერთადერთი, ვისი გვარიც დასახელდა, ეკა ბესელიაა. გავრცელებული ინფორმაციით, ის შესაძლოა ისევ ფოთში წარადგინონ მაჟორიტარად. იმასაც ამბობენ, რომ ამ ქალაქში მეოცნებეთა სახე სალომე ზურაბიშვილი გახდება.

იმერეთის რეგიონში მაჟორიტარების წარდგენის შემდეგ ატეხილი პოლიტიკური ჟრიამულის შემდეგ მმართველი ძალა, ალბათ, კიდევ ერთხელ გადახედავს თავის ფალავნებს.

განსაკუთრებული წივილ-კივილი კობა ნარჩემაშვილის გამოჩენას მოჰყვა. მის მიმართ უმთავრესი პრეტენზია ის გახლავთ, რომ შევარდნაძის დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრია. ამაზე ყველაზე მეტად ნაციონალები ყვირიან. არადა, ამ პარტიაში 2 მიშას სახით (სააკაშვილი და მაჭავარიანი) ედუარდის დროინდელი 2 მინისტრი ჰყავთ.

და საერთოდ, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების სიებს თუ გადავხედავთ, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ მათ შედგენაში ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობს და მოქკავშირგამოვლილებს აწინაურებს.

წარსულის გახსენებამ, შესაძლოა, სამტრედიის ფრონტზე დიდი აურზაური გამოიწვიოს. დიდი ფიქრის, კასტინგისა და რამდენიმე კანდიდატის დაწინაურების შემდეგ სამტრედიის მაჟორიტარად გია მიქელაძე დასახელეს.

ეს ის გია მიქელაძეა, რომელსაც ამჟამად რუსთავისა და ოდესღაც სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად ძიძიგურთან ნამდვილი ომი ჰქონდა გამართული.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ორივე მათგანი კალაძის ნაფერებ სამტრედიაში იყრიდა კენჭს. ძიძიგური მაშინ მამალი ნაციონალი იყო და ამ პარტიის მიერ იყო წარდგენილი. მიქელაძე შევარდნაძის ბლოკის ფალავანი გახლდათ.

როგორც ამბობენ, მიქელაძე ტარიელ ონიანთან დაახლოებული პირი იყო. აქედან გამომდინარე, მას კრიმინალური ავტორიტეტის ახლობლებიც ეხმარებოდნენ. ზვიად ძიძიგურის მტკიცებით, მიქელაძეს ზურგს მხედრიონი უმაგრებდა. საინტერესოა ისიც, რომ 90-იანი წლების გარიჟრაჟზე ძიძიგურიც მხედრიონელი იყო. ის სამტრედიის მხედრიონში გახლდათ გაწევრიანებული, რომლის მეთაურიც გია ვაშაკიძე იყო.

სიტყვიერი დაპირისპირება არჩევნების დღეს ნამდვილ ომში გადაიზარდა. დაუდგენელმა პირებმა საარჩევნო ყუთებიც გაიტაცეს. ამაზე განგაში თვით მიხეილ სააკაშვილმა ატეხა. მან ყუთების გატაცებაში აფხაზეთის მხედრიონის ყოფილი უფროსი ბადრი ფირცხელიანი დაადანაშაულა. ამ ბრალდებების შემდეგ ფირცხელიანი ახლობლებს ურეკავდა და ეკითხებოდა, ყუთები მაქვს „ოპტომ“ და ვინმეს ხომ არ გინდათო.

ალიაქოთი მეორე ტურის დანიშვნით დასრულდა. ვარდების რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, არავინ იცის, რა შედეგი იქნებოდა. რევოლუციის წყალობით, ძიძიგურს კონკურენტი გამოეცალა და ის სამტრედიის რჩეული გახდა.

როგორც ამბობენ, მიქელაძის წარდგენამ რუსთავის მაჟორიტარი ძალიან გაანაწყენა. იქიდან გამომდინარე, რომ კონსერვატორები „ოცნებას“ ვაი-ვაგლახით შეეკედლნენ, ძიძიგური პრეტენზიების ღიად გამოთქმას მოერიდა.

* * *

და კიდევ – მაჟორიტარების შერჩევისას ერთგულების ფიცის დადების მცდელობას ჰქონია ადგილი. როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა გაუმხილა, სამაჟორიტაროები უფროსობას ჰპირდებიან, რომ მორჩილი დეპუტატები იქნებიან, თუ მათ წარადგენენ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

რაში ხარჯავს პაატა ბურჭულაძე ჩვენი მოქალაქეების საქველმოქმედო შენაწირს?

საქართველოში ბევრი მდიდარი ადამიანი არასდროს ყოფილა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას ჰყავდა დიდი ქველმოქმედები. ამის დასტურად მხოლოდ დავით სარაჯიშვილის მაგალითის მოყვანაც კმარა. მას შემდეგ დიდი წყვეტა გვქონდა, სახალხოდ ფულის გამოჩენა არ შეიძლებოდა და საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ამ მასშტაბის ქველმოქმედის არსებობა შეუძლებელი იყო. ბოლო პერიოდში ქველმოქმედებაზე პრეტენზია არაერთმა პირმა განაცხადა.

ეს ქველმოქმედება ზოგ შემთხვევაში სპეციფიკურია – როცა „ქველმოქმედი“ ერთგვარი მენეჯერია, რომელიც ხალხს მიმართავს და საქველმოქმედო თანხებს ხალხისგან კრეფს.

ამავე პრინციპზეა აგებული პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა“.

ამ ფონდს აღებული ჰქონდა კონკრეტული სეგმენტი – მისი გაცხადებული მიზანი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის სახლების შეძენა გახლდათ. როგორც მათ ოფიციალურ გვერდზეა მითითებული, ფონდის მისიაა, დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს.

პაატა ბურჭულაძე არ იყო ფინანსურად იმდენად შეძლებული ადამიანი, რომ ქველმოქმედება საკუთარი სახსრებიდან დაეფინანსებინა. ამიტომ ბურჭულაძის ფონდი, ზოგიერთი უცხოური ორგანიზაციის მსგავსად, შემოწირულობების მეშვეობით აწარმოებდა ქველმოქმედებას.

ფონდი „იავნანა“ მონაწილეობდა პოპულარულ სატელევიზიო შოუებში, აწყობდა ღონისძიებებს და მოქალაქეებს შეჭირვებული ადამიანების დახმარებისკენ მოუწოდებდა.

ამ სარეკლამო კამპანიამ გარკვეული შედეგი გამოიღო, მოქალაქეები მიენდნენ ცნობილი საოპერო მომღერლის მოწოდებას და ფონდ „იავნანაში“ თანხების ჩარიცხვა დაიწყეს.

თუმცა, რა თანხებთან გვქონდა საქმე, რამდენმა მოქალაქემ შესწირა ფონდს თანხა და შეწირული თანხის რა ნაწილი დაიხარჯა ქველმოქმედებაზე, ამაზე ინფორმაციას, სამწუხაროდ, საზოგადოება არ ფლობს. ფაქტია, რამდენიმე სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს პირდაპირ სატელევიზიო ტოკშოუს მიმდინარეობისას გადასცეს ბინები, თუმცა, როგორი იყო ეს ბინები, რა თანხა დაჯდა, რამდენია ასეთი ადამიანი, რამდენი მიიღო ფონდმა შემოწირულობის სახით და აქედან რამდენი დახარჯა რეალურად ქველმოქმედებაზე, არავინ იცის.

ფონდ „იავნანას“ ინტერნეტში განთავსებულ ოფიციალურ გვერდებზე მრავლადაა კონცერტებისა და საქველმოქმედო საღამოების ბმულები, მითითებულია საბანკო რეკვიზიტები, რომლებზეც მოქალაქეებს თანხის ჩარიცხვა შეუძლიათ, გამოქვეყნებულია მოქალაქეთა წერილები დახმარების თხოვნით, ბატონი პაატას გამოსვლები, სხვადასხვა განცხადება, მაგრამ ინფორმაცია ფინანსური დოკუმენტაციის შესახებ ანუ რამდენი თანხა შეიტანეს ამ ფონდში ჩვენმა მოქალაქეებმა და როგორ დაიხარჯა ეს თანხა, არსად აქვს განთავსებული.

არადა, საქართველოს კანონმდებლობა, საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-10 ნაწილი გვეუბნება, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია, ყოველწლიური საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში) გამოაქვეყნოს და ხელმისაწვდომი გახადოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

როცა ფონდს მართავ, ვალდებული ხარ, ფინანსური მხარე საჯარო გქონდეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ხალხის ფინანსებთან გაქვს შეხება, საქველმოქმედო თანხებს ჩვენი მოქალაქეებისგან ითხოვ, რომლებმაც შესაძლოა საკუთარ ოჯახს მოაკლონ თავიანთი თანამოქალაქეების დასახმარებლად.

ამიტომ, ძალიან უცნაურია, როგორ მოხდა, რომ ამ ფონდის შესახებ ინფორმაცია არათუ არ არის საჯარო, არ დევს მათ ოფიციალურ გვერდებზე, არამედ მისი მოძიება ღია სივრცეში შეუძლებელია.

კიდევ უფრო საეჭვო და უცნაურია ამ დოკუმენტაციის დამალვა იმ პირობებში, როდესაც იცი, რომ ათასგვარი ხმები დადის ფონდ „იავნანას“ „არასაქველმოქმედო“ მიზნებზე, რომლებიც იდეალებს არაფრით უკავშირდება.

იმ პირობებში, როდესაც ფონდი კანონის მოთხოვნას წლებია თავს ჯიუტად არიდებს, შეიძლება მოქალაქეს გაუჩნდეს ლეგიტიმური კითხვა და ინტერესი, რეალურად რა თანხები მიიღო პაატა ბურჭულაძის ფონდმა 2004 წლიდან მოქალაქეების შეწირულობებით და რა თანხები დაიხარჯა რეალურად შეჭირვებული თანამოქალაქეების დახმარებაზე.

ასევე ლეგიტიმურია კითხვა – ფონდის დოკუმენტების დამალვა ხომ არ უკავშირდება ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლას და ბოლოს ხომ არ აღმოჩნდება, რომ ჩვენი გაჭირვებული მოქალაქეების ფულით ვინმეს პოლიტიკური კარიერა დაფინანსდა?

ამიტომ, ყველა შესაძლო კითხვაზე პასუხის მისაღებად ფონდ „იავნანას“ მიერ წარმოებული ფინანსური ოპერაციების შესახებ კითხვით საგადასახადო ორგანოებსაც მივმართავთ და, იმედია, ამ გზით მაინც შევძლებთ ნათელი მოვფინოთ და გავარკვიოთ, რა თანხები ირიცხებოდა ჩვენი მოქალაქეებისგან ფონდის ანგარიშებზე და რეალურად იხარჯებოდა თუ არა ეს ფული ქველმოქმედებაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, ამ საკითხს ნათელი მოვფინოთ, რადგან ეს იმ ტიპის საქმეა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი მოქალაქეების სათუთ გრძნობებს, სამომავლო ურთიერთნდობასა და სოლიდარობას. ჩვენ გავაგრძელებთ ამ თემაზე მუშაობას და ასევე სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებს ბატონ პაატას განმარტებებისთვის.

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართველ ამომრჩეველს მაინც „ქართული ოცნების“ ეიმედება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ახალ თემას ეძებს, რომელსაც არჩევნებში „ქართული ოცნების" წინააღმდეგ გამოიყენებს.

– ბატონო ვახტანგ, „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისში იმერეთის რეგიონის რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა. ეს სახეები რა დივიდენდებს მოუტანს მმართველ პარტიას?

– როდესაც მაჟორიტარებზეა საუბარი, აქ მაინც მნიშვნელოვანია იმ რეგიონში მისი გავლენები და ცნობადობის ხარისხი. სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე ხდება კანდიდატის შერჩევაც. „ქართული ოცნების“ დასახელებულ კანდიდატებს იმერეთის რეგიონში ნაკლებად ვიცნობ, ნაკლებად ცნობადი სახეები არიან და არ ვიცი, მათ რა გავლენა აქვთ, რა სახელით სარგებლობენ იმ რაიონებში, საიდანაც უნდა იყარონ კენჭი. ამიტომ მე გამიჭირდება შეფასება, რამდენად არის ესა თუ ის კანდიდატი გამსვლელი.

– კობა ნარჩემაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთ ოლქში იყრის კენჭს, არაერთგვაროვანი შეფასებები გაკეთდა. ის შევარდნაძის მმართველობის დროინდელი მინისტრია. როგორია თქვენი შეფასება?

– პოლიტიკაში ვიღაც ყოველთვის ვიღაცის დროინდელია. თუ იმ ნიშნით დავიწყებთ შერჩევას, ვინ საიდან მოდის და არ გვინდა შევარდნაძის დროინდელი კადრები, მაშინ ქართული პოლიტიკა ცარიელი დარჩება. რა ნიშნით შეარჩია „ქართულმა ოცნებამ“ ნარჩემაშვილი?! იმ ნიშნით, რომ გამსვლელი იყოს. „ქართულ ოცნებას“ მანდატები სჭირდება და იბრძვის მანდატებისთვის.

– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ეს არის წარსულში დაბრუნების სიგნალი. შეიძლება, მართლაც ასე იყოს? თუმცა, აქ ჩნდება კითხვა, სააკაშვილი და მისი გუნდის უმრავლესობა საიდან არიან?

– რა თქმა უნდა, თუ ამას იტყვიან, ისიც უნდა თქვან, რომ თავადაც შევარდნაძის მმართველობიდან მოდიან. გულწრფელად რომ გითხრათ, თუ საერთოდ წარსულში დაბრუნებაზეა საუბარი, მაშინ სააკაშვილის დროინდელ წარსულს შევარდნაძის დროინდელ წარსულში დაბრუნება სჯობია. არსად არ უნდა დავბრუნდეთ, გზა უნდა გავაგრძელოთ წინ და არა უკან. გასაგებია, რომ ეს არის პიარის ნაწილი. ნაციონალური მოძრაობა შეეცდება, ეს ხელზე დაიხვიოს და ამაზე გააკეთოს აქცენტი, ამაზე ააგოს თავისი პიარი, მაგრამ, არა მგონია, რომ ამან მათ ქულები მოუტანოს.

– ნაციონალური მოძრაობისთვის ეს სერიოზული საპიარო თემა არ იქნება?

– საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნაციონალური მოძრაობა, რადგან „ქართული ოცნებისთვის“ პრორუსული იარლიყის მიკერება აღარ გამოდის, უბრალოდ, არ მუშაობს. ამას ხვდებიან და ახალ თემას ეძებენ, რაზეც ააგებენ პიარს, მაგრამ ეს არ არის ის თემა, რომელიც მათ დივიდენდებს მოუტანს.

– ქუთაისი მნიშვნელოვანი ქალაქია. რამდენად არის გამსვლელი კანდიდატი კობა ნარჩემაშვილი?

– ქუთაისი ნამდვილად არის მნიშვნელოვანი ქალაქი, მაგრამ სამ საარჩევნო ოლქად არის გაყოფილი. ნარჩემაშვილს საკმაოდ მაღალი ცნობადობა აქვს. მას ასევე აქვს გარკვეული გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვინ ეყოლება მას ოპოზიციიდან კონკურენტი, ამაზე იქნება დამოკიდებული ბევრი რამე. „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალა, რომ კონკურენტუნარიანი კანდიდატია. ქუთაისში ოპოზიცია ძლიერ კანდიდატებს დააყენებს და არა უბრალოდ კანდიდატს, კანდიდატს კანდიდატისთვის.

– თბილისში როგორ განვითარდება მოვლენები? სააკაშვილის ხელისუფლების დროს თბილისი სააკაშვილს ყოველთვის წაგებული ჰქონდა. ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ხელისუფლებას თბილისში გამარჯვება ყოველთვის უჭირს. დედაქალაქი „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს?

– თბილისში ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“. მაჟორიტარულ ოლქებში მანდატის 30%-ს თუ აიღებს, ეს კარგი შედეგი იქნება. ჯერ მმართველ პარტიას თავისი კანდიდატები არ დაუსახელებია, ოპოზიციის ნაწილმა კი უკვე დაასახელა და წინასაარჩევნო კამპანიაც დაიწყო თბილისში.

– მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა დასახელდა.

– გააჩნია, ვინ იქნება მისი კონკურენტი ოპოზიციიდან. სალომე ზურაბიშვილს, იყო დრო, როდესაც ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა. მას შეეძლო არათუ რომელიმე ოლქის მაჟორიტარი გამხდარიყო, არამედ საპრეზიდენტო მარათონშიც სერიოზულად ჩართულიყო, მაგრამ იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა.

მოლოდინი, რომელიც ქალბატონი სალომეს მიმართ იყო ქართველ ამომრჩეველში, ჩაქრა. თავიდან ამ მოლოდინის გაჩენა მას ძალიან გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ მისი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ იქნება ოპოზიციიდან მისი კონკურენტი.

– ქუთაისში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას ბევრი ადამიანი ესწრებოდა, ისიც კი ითქვა, რომ ამდენი ადამიანი ქუთაისში არც კი ცხოვრობს. შეიძლება, ეს იყო გზავნილი, როგორც ოპოზიციის, ისე თავად ხალხისთვის?

– მართლაც ბევრი ადამიანი იყო. პირველ რიგში, ეს არის მესიჯი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზულად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ცხადია, ეს იყო გზავნილი როგორც ოპოზიციის, ისე ამომრჩევლისადმიც. მმართველმა ძალამ შეძლო მართლაც დიდი რაოდენობის ხალხის მიყვანა. ეს ადამიანები ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზეც რომ ყოფილიყვნენ მობილიზებულები, ამ ღონისძიებაზე მისულთა რაოდენობა საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავი იყო. ამდენი ადამიანის გამოსვლა, რაც არ უნდა იყოს, ნიშნავს იმას, რომ შეიძლება, ქართველი ამომრჩეველი ბოლომდე კმაყოფილი ვერ არის, მაგრამ ჯერჯერობით, სხვა პარტიებთან შედარებით, მაინც „ქართული ოცნების“ ეიმედება.



ვალერი გელბახიანი: „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით ვერ იმარჯვებს“

„კვირიკაშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა" საარჩევნო საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, იურისტ ვალერი გელბახიანს

– „ქართული ოცნების“ ახალი სახეებისა და იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატების წარდგენის საფუძველზე შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ პარტიის ლიდერი და პრემიერი თავის გუნდს აყალიბებს?

– ამ ორ წარდგენას ერთმანეთისგან გამოვყოფდი. ახალი სახეების პრეზენტაციის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კვირიკაშვილის წვლილი არის. იმ სახეების მეხუთედი მაინც მისი შერჩეულია. იმერეთის მაჟორიტარობის კანდიდატების წამოყენებისას საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ იგი ამაში მონაწილეობდა. გიორგი კვირიკაშვილი არაა დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. ფაქტობრივად, ის დაახლოებით იგივეა, რაც ღარიბაშვილი. ღარიბაშვილი ისე წავიდა პრემიერობიდან და პარტიიდან, რომ გუნდი არ დარჩა.

– კვირიკაშვილის წასვლაზე ჯერ საუბარი არაა.

– ჯერ არ არის, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ მომდევნო 4 წელიწადი გასტანოს პრემიერის თანამდებობაზე. ის დამოუკიდებელი ფიგურა არ არის. კვირიკაშვილი მენეჯერია, გადაწყვეტილებებს კი ბიძინა ივანიშვილი იღებს, გუნდსაც ის აყალიბებს.

– ანუ ბიძინა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ იმერეთიდან არჩეული მოქმედი მაჟორიტარები აღარ უნდა დაასახელოს და ისინი უნდა შეიცვალონ?

– დიახ. ავიღოთ საჩხერის მაგალითი. საჩხერე ივანიშვილის მამულია. იქ 2012 წელს მაჟორიტარად აირჩიეს მანანა კობახიძე, რომელიც ვიცესპიკერი გახდა. მის მიმართ დიდი აგრესია შეინიშნება. ცხადი გახდა, რომ მას ხალხი აღარ აირჩევდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ცნობილი პირია და რეიტინგით სხვებზე მაღლა დგას. საჩხერეში რომ ასეთი მდგომარეობაა, წარმოიდგინეთ, რა იქნება სხვა რაიონებში.

– სხვა რაიონებში მეტი პრობლემაა და სიტუაცია უფრო მწვავე უნდა იყოს.

– ახალი კანდიდატების დასახელებით ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ მოქმედი მაჟორიტარების ავტორიტეტი დაცემულია. მათ მოსახლეობას ვერ შეუსრულეს დაპირებები, თუმცა უნდოდათ, რომ შეესრულებინათ. საამისოდ აუცილებელი იყო პოლიტიკური ნება. ასეთი ნება უნდა წამოსულიყო ზედა ეშელონებიდან. ყველა ოლქში მაჟორიტარების ფასი და ღირებულება დაეცა. ხალხს მათ მიმართ ნდობა აღარ აქვს. საჭირო გახდა ახალი ადამიანების კანდიდატებად დასახელება.

– მიუხედავად ყველაფრისა, „ქართული ოცნება“ ლიდერობას ინარჩუნებს.

– ბუნებრივია. ის ისევ დომინანტია, თუმცა მისი რეიტინგი შემცირდა. „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით ვერ იმარჯვებს. რომ აცხადებენ, 100 დეპუტატს გავიყვანთო, ეს მათემატიკურად არანაირად არ გამოდის. 100 კაცის შეყვანა პარლამენტში თეორიულადაც შეუძლებელია. „ოცნება“ პირველ ადგილზე გავა, მაგრამ არა – დიდი უპირატესობით.

– სხვა სუბიექტებზე რისი თქმა შეიძლება?

– უფრო მეტის თქმა შეაძლებელი იქნება აგვისტოში. საარჩევნო კამპანია გამოცხადებულია, მაგრამ აქტიური არ არის. ახლა მუშაობა მიდის სიებზე, საორგანიზაციო საკითხებზე. ამ დროს რეიტინგები არ იზომება. დასკვნების გამოტანა საარჩევნო სიების გამოქვეყნების შემდეგ გაადვილდება.

ამ ეტაპზე შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ 2014 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით წამყვანი მდგომარეობა აქვს 4 სუბიექტს. ესენია: „ქართული ოცნება“, რომელიც მაშინ კოალიცია იყო, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც შემდეგ დაიშალა, ასევე ნინო ბურჯანაძის პარტია და პატრიოტთა ალიანსი. ამ სუბიექტებს საარჩევნო ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდებათ. ბარიერის გადალახვის შანსი ასევე აქვთ ბურჭულაძის გაერთიანებასა და ლეიბორისტულ პარტიას. ბარიერს გადალახავს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 7 სუბიექტი.

– ზოგიერთი სუბიექტის რეიტინგი შეიცვლება?

– „ქართული ოცნების“ რეიტინგის ზრდა მოსალოდნელი არ არის. რეიტინგის ზრდა ბევრ სხვა პარტიასაც გაუჭირდება, რაც უნდა კარგი იდეები წამოაყენოს. ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს ლიდერსა და მის პოპულარობას. შეიძლება გარკვეული ზრდა ჰქონდეთ ბურჯანაძის პარტიასა და პატრიოტთა ალიანსს.

– პატრიოტთა ალიანსი ბლოკად ჩამოყალიბდა.

– ამით მისი რეიტინგი დიდად არ გაიზრდებოდა, თუმცა, დადებითი მომენტია ამ ბლოკში გამოცდილი და ცნობილი პოლიტიკური ლიდერების ჩართვა. პარტიებთან დიალოგი, ეროვნული თანხმობისკენ მისწრაფება კარგად ახასიათებს პოლიტიკურ ორგანიზაციას. პატრიოტთა ალიანსისათვის მნიშვნელოვანია ტელევიზიაზე წვდომაც. „ქართული ოცნების“ რეიტინგი 25%-ზე მეტი ვერ გახდება. ამ პირობებში ის დიდ უპირატესობას ვერ მოიპოვებს. ბუნებრივია, თუ არჩევნები არ გააყალბა. გაყალბება, ალბათ, არ იქნება. მოსალოდნელია სიტუაციის დაძაბვა. მოველი, რომ ნაციონალური მოძრაობა დასაძაბავად გარკვეულ სცენარებს არჩევნებამდე აამოქმედებს.

„საარჩევნო ბარიერის გადალახვა გარანტირებული 4 სუბიექტს აქვს"

რა კითხვები აქვს გიორგი ვაშაძესთან მამუკა გვაძაბიას

გულიკო ბალაძე

უპარტიოთა მოძრაობამ ფუნქციონირება შეაჩერა. მისი ლიდერი მამუკა გვაძაბია გიორგი ვაშაძის პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, თუმცა მამუკა გვაძაბია აცხადებს, რომ ვაშაძის პარტიის გაცხადებულ საკითხებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩნია.

– როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში, გიორგი ვაშაძესთან ერთად?

– უპარტიოთა მოძრაობამ ფუნქციონირება შეაჩერა. მე სხვა დამფუძნებლებთან ერთად გავხდი „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ დამფუძნებელი სუფთა პრაგმატული მოსაზრებით.

– რა პრაგმატული მოსაზრებით გახდით ვაშაძის გუნდის წევრი?

– ამ საკითხს არ განვავრცობ. სანამ ვაშაძე დატოვებდა ნაცმოძრაობას, მასთან კომუნიკაცია მქონდა ინტერნეტის მეშვეობით. შემდეგ უშუალო შეხვედრისას საერთო პოზიციები აღმოგვაჩნდა. დავინახე, რომ საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდა კაცია, რომელსაც შეუძლია რაღაც საკითხების ისეთ დონეზე დაყენება, როგორც საქართველოს სჭირდება. ამიტომ ჩავთვალე, რომ ამ პარტიას სასიკეთო საქმეების კეთებაში წავადგებოდი.

– ვაშაძე მოდის ნაცმოძრაობის ბნელი წარსულიდან, თქვენ კი იმ სიბნელეებთან დაკავშირებული არ ხართ. მაინცდამაინც ვაშაძის პარტიის დამფუძნებლად ყოფნა რატომ არჩიეთ, არჩევანი ხომ საკმაოდ დიდია.

– თანამედროვე მიდგომების გამო, რაც მას გაცხადებული აქვს, თუმცა, არ მოვერიდები იმის თქმასაც, რომ გაცხადებულ საკითხებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებიც მაქვს.

– თქვენი იდეები რამენაირად შეუთავსებელი აღმოჩნდა ვაშაძის იდეებთან?

– იდეების თანხვედრა რომ არ ყოფილიყო, არც ვიქნებოდით ერთად, მაგრამ იქ რაღაც მომენტები იყო გაცხადებული, რომლის განხორციელების ტაქტიკაში მე შეკითხვები მაქვს. უბრალოდ, არის საკითხები, რომელთა ხედვის ჩამოყალიბებაში პარტიას შემიძლია დავეხმარო. ეს საკითხები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– რა საკითხებს გულისხმობთ?

– როგორც ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, როგორც ეროვნული მოძრაობის ყოფილი წევრისთვის, როგორც ქართველისთვის მნიშვნელოვანია ასიათასობით დევნილისთვის ხმის უფლების დაბრუნება. დევნილებისთვის საარჩევნო ხმის წართმევა არაკონსტიტუციური და არასამართლიანია. მინდა, პარტიამ მკვეთრი პოზიცია გამოხატოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს განახლება-როტაციის აუცილებლობაზე.

– თქვენ ამ საკითხს ნაცმოძრაობის დროსაც სვამდით. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხზე სარჩელი უკვე მიიღო.

– აღფრთოვანებული ვარ ამ ფაქტით. მეც ვარ მოსარჩელეთა შორის. ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ მომხდარა.

– დევნილებს თუ აღუდგებათ საარჩევნო უფლება, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ეს რაიმეთი წაადგება?

– დღეს ნაციონალ-სეპარატისტებთან ის ადამიანები ოპონირებენ, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ჯერ დაძაბულობის ესკალაციაში, ხოლო შემდეგ საომარი მოქმედების გაჩაღებაში. ნაციონალ-სეპარატისტებსა და ოკუპანტებს ამ ადამიანებთან მოლაპარაკებისას ძალიან ფართო სამოქმედო არეალი აქვთ. სეპარატისტებთან ის ადამიანები უნდა დასხდნენ ჟენევისა თუ სხვა ფორმატში, რომლებიც კონფლიქტის გაღვივებაში კი არ მონაწილეობდნენ, ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ნახევრად კრიმინალური შეიარაღებული ნაწილების შეყვანას კი არ მოითხოვდნენ, არამედ აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყებას წამგებიანად მიიჩნევდნენ როგორც აფხაზების, ასევე ქართველებისთვის.

ნაციონალ-სეპარატისტებთან დიალოგი და კონფლიქტის მოგვარება იმ თაობამ უნდა დაიწყოს, რომელიც არ არის გასვრილი. ნაციონალ–სეპარატისტებსა და ოკუპანტებში ბევრია ისეთი, ვინც რადიკალურ პოზიციას არ აფიქსირებს, დიალოგის მომხრეა, მაგრამ დღევანდელ ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან დიალოგზე არ წამოვა. ისინი მხოლოდ ფულის კეთების თვალსაზრისით თანამშრომლობენ.

– რა ფულის?

– ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების ბევრი გრანტი ნაწილდება სოხუმსა და თბილისში.

– ახლაც ნაწილდება?

– დიახ, ახლაც არის საუბარი გრანტების განახლებაზე. ამას თავის დროზე ყოლბაია-ზაქარეიშვილი-უსუფაშვილი ლობირებდნენ და ახლაც არიან ჩართულები.

– თუ გრანტები აუცილებელია ურთიერთდაახლოებისა და დიალოგისთვის, ამაში ცუდი რა არის?

– თუ ეს გრანტები წაადგება ჩვენს ურთიერთდაახლოებას, საჭიროა, მაგრამ, პირიქით, კითხვის ნიშნებს აჩენს.

– არამიზნობრივად იხარჯება?

– არამიზნობრივად იხარჯება.

– ვაშაძეს რომ დავუბრუნდეთ – რა კითხვები გაქვთ მასთან?

– კითხვის ნიშნები გაცხადებულ პრიორიტეტებთან დაკავშირებით მაქვს. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. ჯერ მისგან მინდა პასუხის მიღება. თუ ვერ მივიღე პასუხი კითხვის ნიშნებზე, გეტყვით.

– გიორგი ვაშაძემ იცის, რომ თქვენ კითხვები გაქვთ?

– რა თქმა უნდა. შემდეგი საკითხი, რაზეც პოზიციის ჩამოყალიბებაში მინდა დავეხმარო პარტიას, საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებაა, რისი პირდაპირი შედეგიცაა აფხაზეთის ომი. საქართველოს დეზინტეგრაციის მიზეზი კრიმინალური ელემენტების მხრიდან ხელისუფლების დამხობაა.

– ამ საკითხზე პოზიცია ჩამოყალიბებული აქამდე არ ჰქონდა?

– დიდი სურვილი მაქვს, ამაში დავეხმარო. თბილისის მოვლენებს მოჰყვა საომარი მოქმედებები აფხაზეთში. ბევრი კითხვის ნიშანია, თუ რატომ დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები მაშინ. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება. ამ კუთხითაც მინდა სერიოზული ინფორმაციები მივაწოდო პარტიას, რომ ჩამოუყალიბდეს ხედვა.

სხვა საკითხებთან ერთად, ამ პოზიციების ჩამოყალიბებაზე დიდად იქნება დამოკიდებული ელექტორატის ნდობა ამ პარტიისადმი.

– დარწმუნებული ხართ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ვაშაძის პარტია ბარიერს გადალახავს?

– ამას ვერ გეტყვით.

– თქვენ იქნებით სიაში?

– მე არც მაჟორიტარულ და არც პარტიულ სიაში არ ვიქნები.

– აბა, როგორ აპირებთ ამ საკითხების ლობირებას?

– პარტიის მეშვეობით.

– რიგით პარტიას რა შეუძლია. არა მგონია, მმართველ პარტიად გახდომის შანსი ჰქონდეს.

– ძალიან კარგი, მოტივირებული ახალგაზრდების გუნდია. მათი საკითხებისადმი თანამედროვე მიდგომები მომწონს. ვნახოთ, რა იქნება. ვფიქრობ, ეს მომავლის პარტია უფროა. გააჩნია, პარტია რა პოზიციას დაიკავებს, გაეცემა თუ არა პასუხი ჩემს კითხვებს და ჩამოაყალიბებს თუ არა პარტია თავის ხედვებს.

– ამ ხედვების ჩამოყალიბებაზე ხომ არ არის დამოკიდებული საბოლოოდ თქვენი პარტიაში დარჩენა?

– პარტიაში დარჩენა-არდარჩენაზე არ ვლაპარაკობ, მე ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ამ ეტაპზე არანაირი კომუნიკაციის სირთულე არ მაქვს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

– მომავალში გამორიცხავთ პარტიიდან წამოსვლას?

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ არის. მე მინდა თანამშრომლობა. ატმოსფეროც ნორმალურია. ეს არის სუფთა ევროატლანტიკური ორიენტაციის პარტია. არ მინდა, ამომრჩეველი, რომელიც ამ პარტიას ხმას მისცემს, დაიკარგოს. მინდა, საპარლამენტო არჩევნებში ზღვარი გადალახოს.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ვინ დაუკვეთა კვლევა „აიფიემს“

როგორც ამბობენ, პაატა ბურჭულაძეს მევალეებიც ბლომად ჰყავს. როგორც ჩანს, მსოფლიო ბანმა ჩათვალა, რომ პოლიტიკოსებს ვალის არდაბრუნებაც ეპატიებათ

ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ პაატა ბურჭულაძე ნაციონალების დავალებებს ასრულებს, თუმცა დღემდე საამისოდ მყარად არგუმენტირებული ფაქტები არ გამოქვეყნებულა.

ამ მოსაზრების დამადასტურებელი კომპანია „აიფიემის“ კვლევა გახდა. ის ივნისის ბოლოს ჩატარდა და მასში საქართველოს დიდ ქალაქებში მცხოვრები 1.200 რესპონდენტი მონაწილეობდა. დამკვეთი პაატა ბურჭულაძის პარტია იყო.

8. აუქციონის საწყისი ფასი
118 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
11,8 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
259 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 22 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 20 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
25 წელი

14. სხვა მონაცემები
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრუ-ლებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

კანკავათი მალაგა დაინტერესდა

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრების კაპიტნის გუნდმა რეიმსმა საფრანგეთის 1 ლიგა დატოვა, ყოველდღე ახალ ინფორმაციას ველოდით მისი ახალი კლუბის შესახებ.

თავდაპირველად ქართველის გადაბირებით თურქული ტრაბზონსპორი დაინტერესდა, ახლა კი უკვე ესპანური მალაგაც მოწადინებულია კანკავას ხელში ჩასაგდებად.

მალაგაში ტრანსფერი სავსებით რეალური ჩანს, რადგან ესპანური კლუბის მწვრთნელი ის ხუანდე რამოსია, რომელიც კანკავას დნიპროში წვრთნიდა და კარგად იცის 30 წლის საყრდენი ნახევარმცველის შესაძლებლობები.

კანკავა შარშან ზაფხულში 4 მილიონ ევროს სანაცვლოდ გადავიდა დნიპროდან ფრანგულ რეიმსში, რომლის შემადგენლობაშიც საფრანგეთის პირველ ლიგაში 27 მატჩი ჩაატარა.

ინგლისის პრემიერლიგაში წლის ყველაზე ძვირი ფეხბურთელი გრანიტ ჯაკაა

სატრანსფერო ბაზარი 1 სექტემბრამდე არის ღია და როგორც ყოველთვის, სუპერტრანსფერებს ელოდებიან. აქამდე რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი უკვე მოხდა. მაგალითად, ლესტერისა და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი, ნგოლო კანტე ჩელსიში გადავიდა.

ყველაზე ძვირადღირებული საბაზრო გარიგება ინგლისში გრანიტ ჯაკას გადასვლაა, რომელშიც არსენალმა 45 მილიონი ევრო გადაუხადა გერმანულ გლადბახს.

მე-2 ადგილზეა ასევე გერმანიიდან ინგლისში გადასული ჰენრიხ მხითარიანი – სომეხი ფეხბურთელის სანაცვლოდ მანჩესტერ იუნაიტედმა 42 მილიონი ევრო ჩაურიცხა დორტმუნდს.

ბევრისთვის უცნობი სადიო მანე 41,5 მილიონად გადავიდა საუთჰემპტონიდან ლივერპულში, ხოლო ჩელსიმ მიში ბაშტუაიას ტრანსფერში 39 მილიონი გადაიხადა, რომელიც მანამდე მარსელში ირიცხებოდა.

არიკ ბაის გამო 38 მილიონით შეივსო ესპანური ვილიარეალის ხაზინა, ხოლო ფეხბურთელით – მანჩესტერი. ნგოლოს ტრანსფერზე უკვე გითხარით, ხოლო შემდეგ იექაი გუნდოგანია – დორტმუნდელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 27 მილიონი მიიღეს.

6 ქართველი კალათბურთელი ვარჯიშს ბასკონიაში გააგრძელებს

ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში ის 17 ქართველი ახალგაზრდა კალათბურთელი იმყოფებოდა, რომლებიც ლაბორალ კუჩას მწვრთნელებმა თბილისში მაისის ბოლოს გამართულ კემპზე შეარჩიეს. ახალგაზრდა კალათბურთელები ესპანეთში 2 კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ და 6 მათგანს ბასკებმა კონტრაქტი შესთავაზეს.

ლაშა მიქელაძე, რატი ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე მერკვილაძე, ირაკლი სულხანიშვილი, ვოვა თავაქარაშვილი და საბა გიგიბერია თბილისში დაბრუნდნენ, თუმცა საბუთების მოგვარების შემდეგ ახალი სეზონისთვის ესპანეთში გაემგზავრებიან და ვარჯიშს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო საკალათბურთო ორგანიზაციაში – ლაბორალ კუჩაში გააგრძელებენ.

ჩატარდა საკალათბურთო ტურნირიც, რომლის დასრულების შემდეგ გაიმართა სხვადასხვა სახის კონკურსი, რომელთაგან ორი ნიკა კიშკომ მოიგო – საჯარიმოები და მონაცემთა კონკურსი, სამქულიანებში ირაკლი სულხანიშვილმა იმარჯვა, ხოლო ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ალექსანდრე მერკვილაძე დაასახელეს.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

შოთა თევზაძე: „ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება შეგვიძლია“

შემოდგომა სანაკრებო დონეზე დატვირთული იქნება. ფეხბურთელებთან და კალათბურთელებთან ერთად ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპში ჩაებმება.

ხელბურთელთა მეტოქეები იტალიელები და ლუქსემბურგელები იქნებიან, მომდევნო რაუნდში კი მხოლოდ საუკეთესო გავა. მომავალი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე საქართველოს ნაკრების 35 წლის მეკარე და კაპიტანი შოთა თევზაძე საუბრობს.

– როგორც ჩვენი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი, რამდენად კმაყოფილი დარჩით წილისყრის შედეგებით?

– კარგ ჯგუფში მოვხვდით და დასახული მიზნის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. იტალიას 2012 წელს ვეთამაშეთ და მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით დავმარცხდით. ასევე გვაქვს ლუქსემბურგთან ასპარეზობის გამოცდილებაც – ერთ-ერთ წინა შესარჩევ ციკლში ამ ქვეყნის ნაკრებთან ორი მატჩი გავმართეთ, საიდანაც ერთი მოვიგეთ, ერთშიც დავმარცხდით.

იტალიელთა მთავარი პლუსი ის არის, რომ მათი ნაკრების ძირითადი ბირთვი ადგილობრივ ჩემპიონატში გამოდის და შეთამაშების თვალსაზრისით, პრობლემა არ ექნებათ. ასე მგონია და ბევრი დამეთანხმება, რომ სათანადო მონდომებისა და წამყვანი ხელბურთელების მწყობრში ყოფნის შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლია.

– რა იქნება ჩვენი გუნდის პლუსები და მინუსები?

– პლუსი იქნება გუნდური თამაში, რაც საქართველოს ნაკრებს მუდამ ახასიათებს და ეს განსაკუთრებით საშინაო მატჩებში იგრძნობა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ყველა ის ხელბურთელი, რომელიც ეროვნული ნაკრების განუყოფელ ნაწილად ითვლება, სათანადო მზადყოფნაში იქნება, ნამდვილად შევძლებთ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას და მომდევნო ეტაპზე გასვლას.

– რომელ ხელბურთელებს გამოარჩევდით როგორც გოგონათა, ისევე ვაჟთა ნაკრებიდან?

– გოგონათა ნაკრების მთავარი მახასიათებელი ვაჟკაცური, გულიანი თამაშია. მარტში გამართულ ტურნირს რომ ვუყურებდი, სიამაყით ვივსებოდი. გუნდს აშკარად ეტყობოდა მთავარი მწვრთნელის ხელი, რადგან ბურთის დაკარგვა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ტექნიკური წუნი პრაქტიკულად არ იგრძნობოდა. ძალიან მომწონს თამარ ჩოგოვაძის თამაში, ისე კი აშკარად შეიმჩნევა, რომ ორივე მეკარე გუნდის ნამდვილი ლიდერია. რაც შეეხება ბიჭებს, კონკრეტულად ვერავის გამოვარჩევ – ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მონდომების შემთხვევაში, დიდი ხელბურთის თამაში ყველას შეუძლია.

– უკვე 35 წლის ხართ და კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობთ?

– რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მიჭირს გადაწყვეტილების მიღება. ერთი რამ გადაჭრით შემიძლია გითხრათ – ნაკრებში თამაშზე უარს არასოდეს ვიტყვი და სანამ კლუბში ვიასპარეზებ, სანაკრებო კარიერას არ დავასრულებ, თუ, რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელი ჩემს გამოძახებას საჭიროდ ჩათვლის.

– კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

– მაგაზე სერიოზულად ჯერ არ მიფიქრია. ალბათ სამშობლოში დავბრუნდები, მეკარეების მწვრთნელობას დავიწყებ და საკუთარ გამოცდილებას პატარა ხელბურთელებს გავუზიარებ.

შედეგები

18 ივლისი

ფეხბურთი

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ნეცეჩა-არკა 2:0

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-რანდერსი 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

გეფლე-კალმარი 4:2

იონჩოპინგი-დიურგარდენი 1:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიფკი-ვაასა 0:1

სოციალური ქსელების მომხმარებლები პოკემონებში ორეულებს პოულობენ



სოციალური ქსელის ინსტაგრამის მომხმარებლებმა ჩაუშვეს ხეშტეგები, რომლის ფარგლებშიც ისინი საკუთარ ორეულებს ეძებენ თამაშის პოკემონი გო-ს პერსონაჟებს შორის. ამ დროისთვის 2,8 ათასზე მეტი ასეთი ორეულია ნაპოვნი და მონიშნული.

აღსანიშნავია, რომ თამაშის ზოგიერთი თაყვანისმცემელი ქმნის კოლაჟებს, რომლებზეც ერთ მხარეს საკუთარ სელფს ათავსებენ, ხოლო მეორე მხარეს მათი მსგავსი პოკემონის სურათს. სოციალური ქსელების დანარჩენი მომხმარებლები ტვირთავენ კადრებს, რომელზეც ფოტოშოპის დახმარებით თამაშის პერსონაჟებს საკუთარ ფოტოსურათთან ერთად ათავსებენ.

საკუთარი სელფის პოკემონის პერსონაჟებთან შედარების გარდა, სოციალური ქსელების მომხმარებლები საერთოს პოკემონებსა და საკუთარ შინაურ ცხოველებს შორისაც პოულობენ.

პანდის მშობიარობის ვიდეოჩანაწერი ინტერნეტჰიტად იქცა

ვიდეოჩანაწერი, რომელზეც პანდის ნაშიერის დაბადებაა ასახული, ჩინეთის პროვინცია სიჩუანში 16 საათის განმავლობაში 87 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა. ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ერთ-ერთი ტელეარხის ვებგვერდზე განათავსეს.

ჩანაწერში პანდა, სახელად შუ ცინი, აჩენს პატარა ბელს. ვიდეოჩანაწერისთვის დართულ კომენტარში წერია, რომ ცხოველი ჩინეთის სპეციალიზებულ ცენტრში ბინადრობს, რომელიც გიგანტური პანდებისთვისაა განკუთვნილი. ამ დროისთვის ვიდეოჩანაწერს 3,3 ათასზე მეტი მოწონება აქვს მიღებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიუითი-ბლოგერმა სახეზე გრიმის 100 ფენა წაისვა

შვედმა ბლოგერმა ჯოზეფინ ლილაკასმა იუთუბინში საკუთარ არხზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ იდებს სახეზე გრიმის 100 ფენას. ვიდეორგოლი, რომელიც ბლოგერმა 14 ივლისს გამოაქვეყნა, 175 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

სანამ ჯოზეფინი გრიმის მორიგ ფენას წაისვამდა სახეზე, ის მაკიაჟს თმის საშრობი ფენით იშრობდა. ვიდეორგოლის ბოლოს ჩანს, რომ მაკიაჟის მოშორების შემდეგ გოგონას სახე დაუწითლდა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

თურქეთმა აშშ-ს გიულენის გადაცემა მოსთხოვა

ანკარამ ფეთჰულა გიულენის ექსტრადიციის თხოვნით აშშ-ს ოფიციალურად მიმართა.

ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა.

ბინალი ილდირიმმა შეერთებული შტატები გააკრიტიკა, რომელმაც სამხედრო გადატრიალებაში ფეთჰულა გიულენის მონაწილეობის მტკიცებულებები მოითხოვა.

– ეს უკვე ნათელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მათ მტკიცებულებების დასტას წარვუდგენთ, – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

პრეზიდენტ ერდოღანის თქმით, შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაქ ობამას მან ადრე სიტყვიერად სთხოვა გიულენის ექსტრადირება, ახლა კი თურქეთი ვაშინგტონს ოფიციალურად მიმართავს.

თურქეთის ხელისუფლებამ 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ამჟამად აშშ-ში, პენსილვანიაში მცხოვრები მუსლიმი სწავლული ფეთჰულა გიულენი დაადანაშაულა. პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ თურქეთი მტრად განიხილავს ყველა ქვეყანას, რომელიც გიულენს უჭერს მხარს.

თავად ფეთჰულა გიულენმა სამხედრო გადატრიალება დაგმო და მასთან ნებისმიერი კავშირი უარყო. გიულენი ერდოღანის მეგობარი და მოკავშირე იყო, მათ შორის ურთიერთობა კი მას შემდეგ დაიძაბა, რაც გიულენმა ერდოღანის მთავრობა კორუფციაში დაადანაშაულა.



ერდოღანი: „გადატრიალების მცდელობა დადგმული არ იყო“

საინტერესოა, რომ აზერბაიჯანში შეწყდა ერთ-ერთი ტელეარხის მაუწყებლობა, რომლის მიზეზიც ფეთჰულა გიულენის ინტერვიუ გახდა, რომლის ეთერში გაშვებასაც ტელეკომპანია გეგმავდა.

ტელეარხმა მაუწყებლობის შეწყვეტამდე განაცხადა, რომ იგი აპირებდა გიულენთან აშშ-ში მათი კორესპონდენტის, განირა ატაშოვას მიერ ჩაწერილი ინტერვიუს გაშვებას.

მაუწყებლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება ქვეყნის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტროს ეკუთვნის. თურქეთში გადატრიალების მცდელობა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მკაცრად დაგმო და თურქეთის მთავრობასა და პრეზიდენტს მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამასობაში სტამბოლის სასამართლომ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობისთვის ბრალდებულ 278 პირს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მათ შორის არის 13 მაღალი რანგის სამხედრო ოფიცერი, რომელთა მიმართ გამოძიება „სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა“ და „შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის“ ბრალდებით მიმდინარეობს.

სტამბოლის პროკურატურის ოფისის ინფორმაციით, 900-ზე მეტი დაკავებულის დაკითხვა ჯერ კიდევ გრძელდება.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა კი კატეგორიულად უარყო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დადგმული იყო.

– სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დეზინფორმაციაა. როგორ შეიძლება დაგეგმო მსგავსი რამ? როგორ შეიძლება დაუშვა ამდენი სამოქალაქო პირის დაღუპვა? ადამიანური სინდისი ამის საშუალებას მოგცემს? ეს შეუძლებელია. რეჯეფ თაიფ ერდოღანი და მისი მეგობრები, კოლეგები იქნებოდნენ პირველი, ვინც ასეთ იდეაზე უარს იტყოდნენ, – განაცხადა ერდოღანმა სიენენთან ინტერვიუში.

ოტინგერი: „თურქეთი წელს ვიზალიბერალიზაციას ვერ მიიღებს“

ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების საკითხებში ევროკომისარ გიუნტერ ოტინგერის აზრით, თურქეთი ევროკავშირისგან ვიზალიბერალიზაციას მიმდინარე წელს ვერ მიიღებს.

– კანონპროექტი თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე ევროპარლამენტში განიხილება, მაგრამ ჩემი პროგნოზით, უვიზო მიმოსვლაზე რეგულაციას წლის ბოლომდე ვერ მივიღებთ, – განაცხადა ოტინგერმა.

მან ასევე ისაუბრა კანონის უზენაესობის დაცვის მნიშვნელობაზე თურქეთში და გააკრიტიკა ანკარა მოსამართლეებისთვის იმუნიტეტის მოხსნისა და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, რომლის მიზანიც სავარაუდოდ, პროქურთისტანული ოპოზიციური პარტიის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაა.

მან ასევე, ხაზი გაუსვა, რომ თურქეთის ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ზღუდავს.

ბრიტანეთის პარლამენტმა ბირთვული არსენალის მოდერნიზებას მხარი დაუჭირა

ბრიტანეთის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა ბირთვული არსენალის მოდერნიზაციას.

კერძოდ, საუბარია ბირთვულ რაკეტა „ტრაიდენტზე“, რომლითაც ბრიტანული წყალქვეშა ნავებია აღჭურვილი.

– არსებობს რეალური საფრთხე რუსეთიდან და ჩრდილოეთ კორეიდან, შესაბამისად ბირთვული შემაკავებელი ფაქტორის არსებობა აუცილებელია, – განაცხადა პრემიერმა ტერეზა მეიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შიშველი ქალები ტრამპის წინააღმდეგ

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში 130 შიშველმა ქალმა მიიღო მონაწილეობა სპენსერ ტუნიკის ფოტოპროექტში და ამით პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო აქცია გამართეს.

ტუნიკის ინსტალაციისთვის მონაწილეები გაშიშვლდნენ და ფოტოკამერის წინ მრგვალი სარკეებით პოზირებდნენ, რომლებიც თავს ზევით ჰქონდათ აღმართული. აქცია კერძო საკუთრების ტერიტორიაზე გაიმართა (კლივლენდში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გაშიშვლება აკრძალულია), საიდანაც იშლება ხედი იმ ადგილის, სადაც რესპუბლიკური პარტიის ყრილობა იმართება. აღნიშნული ყრილობა ორშაბათს დაიწყო და ოთხი დღე გაგრძელდება.

ტუნიკმა კი სახელი სწორედ იმით გაითქვა, რომ სურათებს უღებს ათეულობით, ასეულობით და ათასობით გაშიშვლებულ ადამიანს. მისი თქმით, კლივლენდში წარმოებული გადაღებები ყველაზე პოლიტიზირებული იყო მის კარიერაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი
20 ივლისისთვის

ვერძი – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **კურო** – ფასეულობები საფუძვლიანად უნდა გადააფასოთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **ტყუპები** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერ უსიამოვნებას ფილოსოფიურად მიუდგეთ. **კირჩხიბი** – განსაკუთრებით აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. ყველაფერი გამოგდით. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ლომი** – რთული დღეა, რომელიც შეუსრულებელ მოვალეობებს უკავშირდება. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. აქტიური ფიზიკური დატვირთვა არ გამოგადგებათ. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. იზრდება თქვენი ავტორიტეტი. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ემოციების გამოვლენა რაციონალურ აზროვნებაში ხელს შეგიშლით. ნუ ეცდებით, ყველა პრობლემის მოგვარებას ერთდროულად შეეჭიდოთ. **ღრიანკალი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ემოციები შეიკავეთ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გეძაბებათ. პირად ცხოვრებაში აქტიურობას ერიდეთ. **მშვილდოსანი** – იღბლიანი და წარმატებული დღეა. იაქტიურეთ. დღის მეორე ნახევარში მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – უკიდურესად რთული დღეა. არაკეთილისმსურველები შეეცდებიან, უსამართლოდ დაგადანაშაულონ და გული გატკინონ. ერიდეთ მარტო დარჩენას. **მერწყული** – პლანეტები გირჩევენ, კრიტიკულად შეაფასოთ თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან. შესაძლოა მიმნდობლობამ და მიამიტობამ ამ შემთხვევაში ცუდი სამსახური გაგიწიოთ და მომავალში პრობლემები შეგიქმნათ. **თევზები** – თუ რომელიმე მეგობართან კონფლიქტი გაქვთ, აუცილებლად შეურიგდით და ურთიერთობა დაათბეთ. პროფესიულ საქმიანობაში გარკვეულ შეცდომას დაუშვებთ, თუმცა მისი გამოსწორება არ გაგიჭირდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სოფელი ხევსურეთში; 2. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 3. უბანი სოხუმში; 4. უბანი თბილისში; 8. ძველად, სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. გულის პერანგი; 11. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 12. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 14. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 16. ქალაქ თბილისის მერი; 17. სიმღერის შესრულების იტალიური სტილი; 19. აეროპორტი ტოკიოში; 21. თითებზე ჩამოსაცმელი თოჯინა.

თარაზულად: 5. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისათვის; 6. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი ქართლში; 10. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 19. კუთხე საქართველოში; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 18. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიადა; 20. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 23. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 24. მჟავაგამძლე სამშენებლო მინერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჭილაძე; 2. გრინგო; 3. ქურხული 4. დიადორა; 5. ტარაბუა; 7. მეჯლისი; 11. ლიონი; 12. ფიაკრი; 13. ფილიპსი; 14. კორპუსი; 15. მაკაბი; 17. უზნაძე; 19. რადა.

თარაზულად: 5. ტაპორი; 6. გალუაზი; 8. გაჯი; 9. დურდო; 10. ბოლერო; 11. ლიდა; 13. ფიტოფაგი; 14. კლოდი; 16. ფურკა; 18. ონიმა; 20. სანდალი; 21. ბეიძინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დაგერი; 2. მალბორო; 3. ფოტოლიზი; 4. სტაჟიორი; 8. კურვუაზიე; 9. სინტოიზმი; 11. მირიანი; 12. დალი; 14. ერგი; 16. პლასტიკა; 17. კარტინგი; 19. ალიევი; 21. მოცვი.

თარაზულად: 5. ფორსინგი; 6. ელინისტი; 7. ბარსელონა; 10. ფირუზი; 13. დონორი; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. იუმორი; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. კვადრიგა.

ნანი ბრეგვაძე ყველაზე უჩვეულო დუეტს წერს

მომღერალი ნანი ბრეგვაძე წელს 80 წლის იუბილეს ზეიმობს.

როგორც მომღერალმა ჟურნალისტებს განუცხადა, იუბილეზე მას გადაწყვეტილი აქვს, სცენას დაემშვიდობოს, ამიტომ გამოსამშვიდობებელ კონცერტს გრანდიოზულ ფორმატში გამართავს.

ამ კონცერტებამდე კი ნანი მის შემოქმედებით კარიერაში ყველაზე უჩვეულო დუეტს წერს. ჯგუფ „არას“ სოლისტმა ზურა ჯავახიამ სპეციალური დუეტი დაწერა და მისი მუზა 80 წლის ნანი ბრეგვაძე გახდა.

ჯგუფის „არა“ საოცნებო სიმღერის და ვიდეო რგოლის მთავარი გმირი ნანი ბრეგვაძე გახდა და ამის მიზეზი გასული საუკუნის 60-იანი წლების მუსიკის განწყობით დაწერილი სიმღერაა. როგორც ზურა ჯავახია ამბობს, მისი მუზა მუშაობის პროცესში ნანი ბრეგვაძე იყო, მაგრამ მასთან დუეტის ჩაწერა დაუჯერებელ ამბად ეჩვენებოდა.

– ეს ჩემთვის ახალი გამოწვევაა. ვწერთ დუეტს და მაქვს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ამ არაჩვეულებრივ ახალგაზრდებს სიმღერა არ გავუფუჭო. თითოეულ ნოტს, ბგერას, სიტყვას ვუფრთხილდები და მათთან შეთანხმებით ვმღერი, – განაცხადა მომღერალმა.

ნანი ბრეგვაძესთან დუეტის ჩაწერის პარალელურად, ჯგუფი „არა“ ვიდეორგოლის გადაღებასაც აპირებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რობერტ დე ნირო კაფეს ბრონკსიში გახსნის

ჰოლივუდის მსახიობი რობერტ დე ნირო ბიუჯეტურ კაფეს ბრონკსში (ნიუ-იორკი) სახელგანთქმულ შეფ-მზარეულ მასიმო ბოტურისთან ერთად გახსნის.

ბოტური ცნობილია მოდენაში მდებარე საკუთარი რესტორნით ოსტერია ფრანცესკანათი, რომელიც მიმდინარე წელს მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს.

შეფ-მზარეულის კიდევ ერთ პროექტს წარმოადგენს რეფუტორიო ამბროსიანო, რომლის მიზანია საკვები უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს. ამ ბრენდის კაფე ბრონკსში 2017 წელს გაიხსნება. ბოტურის დე ნირო დაეხმარება. პრემია „ოსკარის“ ლაურეატი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ რესტორნად ითვლება.

რეფეტორიო ამბროსიანო – სოციალურად დაუცველებისთვის განკუთვნილ ახალი ტიპის სასადილოს წარმოადგენს. მასში კერძებს მსოფლიოს საუკეთესო შეფ-მზარეულები ამზადებენ. კიდევ ერთი ასეთი კაფე რიო-დე ჟანეიროში ოლიმპიადის დროს ამუშავდება.

პოლონელმა ახლად შეუღლებულებმა „უსასრულო“ საქორწინო მოგზაურობა დაიწყეს

პოლონელი ახლად დაქორწინებული წყვილი კაროლინა და ბარტეკ ვუდნიაკები „უსასრულო“ საქორწინო მოგზაურობაში იმყოფებიან.

მათი მოგზაურობა 2015 წლის ნოემბერში დაიწყო. დღეისათვის წყვილმა უკვე მოინახულა პანამა, კოლუმბია, პერუ, ბოლივია, ჩილე, ეკვადორი, არგენტინა. 2016 წლის ნოემბერში მოგზაურები ახალ ზელანდიაში გაემგზავრებიან. ისინი ასევე გეგმავენ ავსტრალიისა და აზიის ქვეყნების მონახულებას.

ცოლი – ჟურნალისტ-ფრილანსერია, ხოლო მისი მეუღლე მოგზაურობის გამო იძულებული გახდა სამუშაო მიეტოვებინა. აღსანიშნავია, რომ ამ მოგზაურობისთვის ფულს ის რამდენიმე წლის მანძილზე აგროვებდა.

წყვილის თქმით, მათ ოჯახი, მეგობრები და პოლონური სამზარეულო მოენატრათ, თუმცა ამავე დროს არ იციან, თუ როდის მოახერხებენ სამშობლოში დაბრუნებას. შესაძლოა ეს ორი ან ხუთი წლის შემდეგ მოხერხდეს, აღნიშნა კაროლინა ბარტეკმა.

ამირან შალიკაშვილს შვილი გარდაეცვალა

საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დამაარსებელს ამირან შალიკაშვილს შვილი გარდაეცვალა.

მსახიობი გოჩა შალიკაშვილი 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამერიკელმა თავის ავადმყოფ ძაღლს მოგზაურობა მოუწყო

ამერიკელმა რობერტ კუგლერმა უკანასკნელი „ეპიკური“ მოგზაურობა მოაწყო თავისი სასიკვდილოდ დაავადებული ძაღლისთვის. ლაბრადორ-რეტრივერი სახელად ბელა კიბოთია დაავადებული, მას ასევე ერთი თათის ამპუტაცია აქვს გადატანილი.

ნებრასკელმა ძაღლი ცხრა წლის წინ აიყვანა, მისი თქმით, ის უდიდეს კავშირს გრძნობს თავის ოთხფეხა მეგობართან. კუგლერს არ სურდა, რომ ერთ დღეს სახლში დაბრუნებულს ბელა მკვდარი დახვდეროდა და ამიტომ მასთან ერთად სამოგზაუროდ წავიდა.

კუგლერი საზღვაო ფეხოსანთა ვეტერანია, ამიტომ ის 2015 წლის ნოემბერში ბელასთან ერთად გაემგზავრა ჩიკაგოში საზღვაო ფეხოსნების შეხვედრაზე. გარდა ამისა, კუგლერმა და ბელამ მოინახულეს დეტროიტი, ბოულინგ-გრინი, ტბა ერი, კლივლენდი, ნიაგარის ჩანჩქერი, მთის ქედი ადირონდაკი, ბოსტონი, ფილადელფია, ვაშინგტონი.

ის ძაღლთან ერთად ათვალიერებდა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს და მოგზაურობაზე საკუთარ შთაბეჭდილებებს სოციალურ ქსელებში აზიარებდა. ძაღლი და მისი პატრონი ღამეს ან საკუთარ მანქანაში ათევდნენ, ან მის მეგობრებთან.

ამჟამად კუგლერი და ბელა ფლორიდაში იმყოფებიან და ყოფილი საზღვაო ქვეითი არ გამორიცხავს, რომ მათი შემდეგი მიზანი ქვეყნის ეროვნული პარკების მონახულება გახდეს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ექიმებმა განაცხადეს, რომ ძაღლს ყველაზე მეტი ექვსი თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, თუმცა ბელამ ამ პროგნოზს უკვე საგრძნობლად გადაჭარბა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

სამგლოვიარო განცხადებები

ბიძაშვილები ნორა, ნუნუკა, გუგული, ადელ კიწმარიშვილები, თამუნა, თეა კუნდუხაშვილები, შოთიკო, ვახტანგ, ლელა თინიკაშვილები, სიძე მიშა ჯანიაშვილი, მამუკა, ელიკო, თამრიკო, ლიკა ჯანიაშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან

ნაზი კიწმარიშვილი-ჩიქვინიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, ქალბატონი

თინათინ გიორგობიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თანავუგრძნობთ ქალბატონ როზეტა შულაიას მამის

ზაურ შულაიას

გარდაცვალების გამო.

ბადრი ლომაია, საშა (ალექსანდრე) არჩაია, გურამ კვიკვინია

ქ.ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ როზეტა შულაიას მამის, ბატონი

ზაურ შულაიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისისმისიანური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 20 ივლისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩინარი ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლეXX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ"თოფ – გიარი" **16.45**"ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**პორგო ლარინის საიდუმლოება**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**მძინარენი**" (ბ.პიტი) **01.35** მხ/ფ "**უკანასკნელი დაძორწინებული წყვილი ამერიკაში**" (ნ.ვუდი)

08.00, 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ეკვა სამი ბარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**ბორიტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გააგრეელ საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. "**სიცრუე**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **00.30** მხ/ფ "**ბასკერვილების ძაღლი**" **02.05** მხ/ფ "**ქრისთი, დაბრუნება ქათერ გეფუი**"

05.00 სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ვეღი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**სპპარა**" **02.45** მხ/ფ "**კარლიტოს გზა**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **01.00, 03.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.55** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.30** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო ქარის თამაშები**" **23.00** მხ/ფ "**ბუზი 2**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "ქრისტიანობა და განმანათლებლობა" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "კვიპროსი გზა იერუსალიმისკენ" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია "ნესტან სულავა ხანდელი" **1 13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ღვთის სახლი "ლაშქენდარი" **15.45** დ/ფ "ხომლელები" **16.15** კონცერტი **17.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ჟათო და კოტე**" **20.40** ძილი ნებისა "პატარა სიმფონია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" I ნაწ. **21.35** ეპოქის სახელები **22.00** სიახლენი **22.25** დროის ჩანაწერები "ესმა ონიანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო-პავლეს მესამე სამოციქულო მოგზაურობა **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ბატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიციანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**სპანიცა**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.3406
- ევრო — 2.5847
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0985
- 100 რუსული რუბლი — 3.7116

ამინდის პროგნოზი 20 ივლისისთვის

19 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

22 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

რიად მარეზი 55 მილიონი ევრო ღირს

ლესტერის ერთ-ერთი ლიდერი რიად მარეზი, შესაძლოა, გუნიდან წავიდეს. ლესტერი მისი გაყიდვის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მსურველებმა 55 მილიონი ევრო უნდა გაამზადონ. უფრო ნაკლებად ლესტერი თავისი ლიდერის დათმობას არ აპირებს. მარეზის ყიდვა ინგლისის რამდენიმე გრანდს სურს, განსაკუთრებით კი მანჩესტერ სიტი აქტიურობს, რომლის ახალ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას მისი გადმობირების დიდი სურვილი აქვს.

თვითონ ფეხბურთელი ჯერჯერობით ამ ყველაფერზე კომენტარს არ აკეთებს, ამიტომ მისი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ლოქო მყვინთავებს აშინებს

კალინინგრადში გიგანტურმა ლოქომ მყვინთავები, რომლებიც ხიდის შეკეთებით იყვნენ დაკავებულები, წყლიდან გამოყარა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ქალაქის ადმინისტრაციის უფროს არტურ კრუპინზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისი თქმით, წყლის ქვეშა საშემკეთებლო სამუშაოები ლოქოს, რომელიც ხიდის საყრდენი კონსტრუქციის მახლობლად ბინადრობს, სიმშვიდეს ურღვევს.

– ზოგჯერ ის მყვინთავებს აშინებს, რომელთა თქმით, ლოქოს წონა სავარაუდოდ 200-დან 220 კილოგრამამდე იქნება, – განაცხადა რუსმა ჩინოსანმა.

როგორც კრუპინმა აღნიშნა, ამიერიდან მყვინთავები შეეცდებიან სამუშაოები ისე განახორციელონ, რომ გიგანტური ლოქო აღარ შეაწუხონ.

აღსანიშნავია, რომ ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში დაიწყო და 2017 წლის მაისამდე გაგრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

კაცი მოკვდა და ჯოჯოხეთში მოხვდა. ეშმაკი შეხვდა და ეუბნება:

– აბა, მეგობარო, როგორც ხედავ ჯოჯოხეთში მოხვდი, მაგრამ არ ინერვიულო. აქ არც ისე ცუდია. აი, მაგალითად, შენ სიცოცხლეში ეწეოდი?

– დიახ, ვეწეოდი.

– ჰოდა, ორშაბათს ნამდვილი ზეიმი გექნება. ორშაბათი ჩვენთან მოწევის დღეა, არჩევანიც დიდია, სიგარეტი, სიგარა, ყალიონი, თამბაქო, მთელი დღე ვეწევით, არაფერი გვაშინებს. შენ ხომ უკვე მკვდარი ხარ, მკვდარი. და სიცოცხლეში თუ გიყვარდა დალევა?

– კი, ვსვამდი.

– ჰოდა, სამშაბათისთვის მოემზადე, დალევის დღე გვაქვს, ვსვამთ ყველაფერს, დაწყებული ლუდით, მსუბუქი ღვინოებით, გაგრძელებული მაგარი სასმელებით, კონიაკით, არყით, სპირტით. არაფრის შეგეშინდეს. შენ ხომ უკვე მკვდარი ხარ. ნარკოტიკებს თუ ეტანებოდი?

– ხანდახან.

– მაგისთვის ოთხშაბათი გვაქვს, ყველაზე მსუბუქიდან დაწყებული ჰეროინითა და სინთეტიკურით დამთავრებული. გინდ დაბოლდი, გინდ იყნოსე, გინდ გაიკეთე, არც ზედმეტი დოზის შეგეშინდება და არც არაფრის. შენ ხომ უკვე მკვდარი ხარ, მკვდარი. ქალებში თუ დადიოდი?

– აბა, უმაგისოდ როგორ იქნებოდა!

– ჰოდა, ხუთშაბათს მაგრად გაერთობი, ქალები ჩვენთან კაცებს ათჯერ სჭარბობენ, ასე რომ, ასარჩევად გექნება საქმე, მთელი დღე ნებისმიერი ქალი შენს ხელთ იქნება. არც რაიმე დაავადების შეგეშინდება, შენ ხომ უკვე მკვდარი ხარ, მკვდარი. და კაცებთან სექსის საქმე როგორ გაქვს?

– არა, რას ამბობთ.

– ჰოო... პარასკევი შენთვის მძიმე დღე იქნება, ნამდვილად არ მოგეწონება!

●●●

საოპერაციოში ექიმი სიმამრისთვის ოპერაციის გასაკეთებლად ემზადება. სიმამრი სიძეს ეუბნება:

– შვილო, მთავარია არ დაგავიწყდეს, რომ თუ ვერ გადავრჩები, ჩემი ცოლი დაქვრივების შემდეგ თქვენთან გადმოვა საცხოვრებლად.

●●●

მეზობელი მოხუცი ქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– მეშინია, თვალი რომ გავახილო და კუბოში აღმოვჩნდე და ამიტომ ჩემებს ვუთხარი, რომ კრემაცია ჩამიტარონ.

– რა, ღუმელში თვალის გახელის არ გეშინია?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

20 ივლისიდან

ბექა ქურხული

სამოთხიდან გაქცეულები



სამოთხიდან გაქცეულები ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის მხატვრული რეტროსპექტივაა.

სამი მეგობრის ოდისეა სულისშემძვრელი ამბებით, სევდიანი, ზოგჯერ ტრაგიკული შინაარსით, იმ ეპოქის ფონზე იშლება, რომელიც ბოლომდე ჯერაც ვერ წაიკითხა და გაიაზრა ჩვენმა საზოგადოებამ.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლუკას როსოლი დაამარცხა

ავსტრიაში საკურორტო ქალაქ კიცბუელში ატპ-ის ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილიც მონაწილეობს.

პირველ წრეში ნიკას საკმაოდ რთული მეტოქე, ჩეხი ჩოგბურთელი ლუკას როსოლი შეხვდა, რომელიც ერთი პერიოდი მსოფლიოს 26-ე ჩოგანი იყო. ქართველმა ეს შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარა და საბოლოოდ ორ სეტში გაიმარჯვა ანგარიშით 6:4, 7:6.

აღსანიშნავია, რომ ნიკამ რამდენიმე დღის წინ დევისის თასის გათამაშებაშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც საქართველოს ნაკრების გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. შემდეგი შეხვედრა ბასილაშვილს ჰოლანდიელ იგორ სისლინგთან აქვს, რომელიც რეიტინგში 115-ე პოზიციას იკავებს.

ანდრე გომეში რეალში გადადის

ვალენსიის პორტუგალიელი ფეხბურთელი ანდრე გომეში მომავალი სეზონიდან მადრიდის რეალში ითამაშებს.

ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური პრესა ავრცელებს.

რეალი და ვალენსია უკვე თითქმის შეთანხმდნენ ამ ტრანსფერზე და მხოლოდ დეტალები დარჩა მოსაგვარებელი.

რეალი ვალენსიას, სავარაუდოდ, 50 მილიონ ევროს გადაუხდის, თუმცა ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს.

ანდრე გომეში გასულ სეზონში ვალენსიის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მისმა კარგმა თამაშმა ევროპული გრანდების ყურადღებაც მიიპყრო.

რეალის გარდა, გომეშის მიმართ ინტერესს მილანი და იუვენტუსიც იჩენდნენ.

მონტელა მილანის ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებას აპირებს

მილანის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ვინჩენცო მონტელამ ერთ-ერთ იტალიურ გამოცემას ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც მრავალ საკითხს შეეხო.

მონტელას თქმით, მისი გუნდის მთავარი მიზანი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებაა, რისთვისაც მილანი ყველაფერს გააკეთებს.

ბოლო რამდენიმე წელიწადი მილანელები ცუდად გამოიყურებიან და ევროტურნირები მათ გარეშე ტარდება. შარშან მილანმა სერია-ა-ში მე-7 პოზიცია დაიკავა.

მონტელამ ხაზი გაუსვა იმას, რომ მილანი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ღირსია და მისი გუნდი ამის დამტკიცებას მოედანზე შეეცდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხვოხდი ↄ



შვეულად: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 3. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 4. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 5. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ხეობა კახეთში; 11. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუაზიაში; 12. გოეთეს ტრაგედია; 13. ხავერდის მსგავსი, ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. კულინარიაში, პარფიუმერიაში გამოყენებული ტროპიკული ხის სურნელოვანი ნაყოფი; 15. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 17. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 19. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში.

თარაზულად: 5. ოდესის ძველი სახელწოდება; 6. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. იაპონური აბანო; 10. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 11. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 13. შტატი აშშ-ის აღმოსავლეთში; 14. მღრღნელი ჭიის, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 18. მამათა მონასტერი; 20. იატაკზე დასადგამი მაღალფეხიანი სანათი მოწყობილობა; 21. ქართველი ველოსიპედისტი, მსოფლიო ჩემპიონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა